



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სგს „როიალ კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „როიალ კრედიტი“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	13
4. ძირითადი საშუალებები	14
5. არამატერიალური აქტივები	15
6. გადავადებული საგადასახადო აქტივი და გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	15
7. გაცემული სესხები	16
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
9. ფული და ფულის ექვივალენტები	17
10. სასესხო ვალდებულება	17
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
12. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები	18
13. საპროცენტო შემოსავალი	19
14. საპროცენტო ხარჯი	19
15. სხვა შემოსავალი	19
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები. სხვა საოპერაციო ხარჯები	20
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	20
18. რისკების მართვა და შიდა კონტროლი	22
19. ბალანსის შემდგომი მოვლენები	22
20. ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღი	23

შპს „როიალ კრედიტი“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს „როიალ კრედიტი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	12965	16069
არამატერიალური აქტივები	5	1659	2397
გაცემული სესხები	7	4311256	3865913
საგადასახადო აქტივები	12	9552	
გადავადებული საგადასახადო აქტივები	6	3804	4900
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	979	1093
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	11624	50041
სულ აქტივები		4351839	3940412
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		100	100
დაგროვილი მოგება		523051	469426
სულ საკუთარი კაპიტალი		523151	469526
ვალდებულებები			
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები (მოგება)	6		
სასესხო ვალდებულება	10	3815628	3457553
საგადასახადო ვალდებულებები	12		125
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	13060	13208
სულ ვალდებულებები		3828688	3470886
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4351839	3940412

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მხრიდან 2025 წლის 26 სექტემბერს

სგს შპს „როიალ კრედიტი“-ს

დირექტორი

ვახტანგ რურუა

მთ. ბუღალტერი

ნინო ნანეტაშვილი



შპს "როიალ კრედიტი".

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	13	959,436	929,083
საპროცენტო ხარჯი	14	(511,021)	(458,732)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		448,415	470,351
ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით		7,952	27,673
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების შესაძლო დანაკარგების შემდეგ		456,367	498,024
შემოსავალი ჯარიმებიდან		16,076	15,418
სხვა შემოსავალი	15		6,652
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(124,943)	(150,442)
პერსონალის ხარჯი		(280,371)	(268,271)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		67,129	101,382
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი			
სხვა არასაოპერაციო ხარჯი			(5,000)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), ნეტო			
მოგება დაბეგვრამდე		67,129	96,382
მოგების გადასახადის ხარჯი		(13,504)	(22,181)
წმინდა მოგება/ზარალი		53,625	74,201
სხვა სრული შემოსავალი			
სულ სრული შემოსავალი		53,625	74,201

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მხრიდან 2025 წლის 26 სექტემბერს

სგს შპს „როიალ კრედიტი“-ს

დირექტორი

ვახტანგ რურუა

მთ. ბუღალტერი

ნინო ნანეტაშვილი



შპს "როიალ კრედიტი"
საკუთარი კაპიტალის
ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	100	-	469426	469526
წლის წმინდა მოგება	-	-	53,625	53,625
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	100	-	523,051	523,151

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მხრიდან 2025 წლის 26 სექტემბერს

სგს შპს „როიალ კრედიტი“-ს

დირექტორი

ვახტანგ რურუა

მთ. ბუღალტერი

ნინო ნანეტაშვილი



შპს "როიალ კრედიტი"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტი	952522	926326
კლიენტებზე გაცემული სესხების ზრდა(შემცირება)	(479,955)	(384,631)
მიღებული ჯარიმები	15752	13345
გადახდილი პროცენტები	(506,507)	(454,584)
მიღებული სესხის ზრდა (შემცირება)	356815	220972
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(215,500)	(206,200)
გადახდილი ადმინისტრაციული ხარჯები	(118,019)	(110,111)
სხვა შემოსავალი/გასავალი (ნეტო)	51,733	109,233
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(73,221)	(72,156)
გადახდილი მოგების გადასახადი	(22,037)	(22,507)
საოპერაციო საქმიანობაში შემოსული (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	(38,417)	19,687
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	-
არამატერიალური აქტივის შეძენა	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	-	-
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის	50,041	30,354
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასასრულისათვის	11,624	50,041

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მხრიდან 2025 წლის 26 სექტემბერს

სგს შპს „როიალ კრედიტი“-ს

დირექტორი

ვახტანგ რურუა

მთ. ბუღალტერი

ნინო ნანეტაშვილი



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „როიალ კრედიტი“ (454406438) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა მვირფასი ლიონონებით უზრუნველყოფილი სალომბარდე სესხების გაცემა. კომპანია დაფუძნდა 2011 წლის 25 თებერვალს. მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „როიალ კრედიტი“ -ს კაპიტალის 100%-ის მფლობელი პარტნიორი არის ანა აზიროვა, პ/ნ 61001065237. კომპანიის მართვას ახორციელებს პარტნიორი. კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ინიშნება პარტნიორის მიერ. ამავე პერიოდში, შპს „როიალ კრედიტი“ -ს დირექტორი არის ვახტანგ რურუა, პ/ნ 01019018293.

კომპანიას 2019 წლის 6 მარტს საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე პრეზიდენტის N 145 განკარგულებით მიენიჭა სესხის გამცემი სუბიექტის სტატუსი (რეგისტრაციის # სგს-0120094).

შპს „როიალ კრედიტი“ -ს იურიდიული მისამართი - ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ნავთლუდის ქ., N6/2, სართული №1, ფართი №40. ფაქტიური მისამართი - ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ნავთლუდის ქ., N6/2, სართული №1, ფართი №40 . შპს „როიალ კრედიტი“ -ს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფუნქციონირებს 4 ფილიალი:

1. ქ. თბილისი, ნავთლუდის ქ., N6/2, სართული №1 (სათაო)
2. ქ. თბილისი, მიქელძის ქ.7
3. ქ. თბილისი, წერეთლის გამზ 127
4. ქ. თელავი, აღმაშენებლის 47

კომპანიის მიზანია, ხელი შეუწყოს და განავითაროს მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში, გააუმჯობესოს კლიენტების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება პირველად არის წარდგენილი გასულ საანგარიშგებო 01/01/2020-31/12/2020 პერიოდში. ანგარიშგებაში გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2019 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის - 2019 წლის 1 იანვრისთვის, კომპანიას არ გამოუყენებია მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“ - მიხედვით მოცემული შეღავათები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

2019 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი
2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7110
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894

2.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა ნაგებობები	20 წელი
საოფისე აღჭურვილობა	4-9 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	6-14 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 7-9 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამებს.

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას. კომპანიის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებია:

ფულადი სახსრები - ფინანსური აქტივი;

სასესხო მოთხოვნები (გაცემული სესხები) - ფინანსური აქტივი;

სასესხო ვალდებულებები (მიღებული სესხები) - ფინანსური ვალდებულება.

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალსე ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალსე ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

კომპანია ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის შემდგომი აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
- გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ;
- გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით;

- პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

თავდაპირველად მენეჯმენტი აფასებს არსებობს თუ არა თითოეული დიდი მოცულობის მქონე აქტივის გაუფასურების ობიექტური საფუძველი და მცირე მოცულობის აქტივების ცალ-ცალკე ან ერთობლივად გაუფასურების საფუძველი. თუ დადგინდა, რომ არსებობს გაუფასურების ობიექტური საფუძველი, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების იმ ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ერთობლივად. ფინანსური აქტივების ჯგუფისთვის მომავალი ფულადი ნაკადები ფასდება წარსული გამოცდილების საფუძველზე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, გაუფასურების განსაზღვრაში არის ფინანსური აქტივის ვადაგადაცილების სტატუსი და უზრუნველყოფის საგნის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეალური ღირებულება.

გაუფასურების ზარალის აღდგენა

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელი იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, კომპანიამ უნდა აღადგინოს (უკუგატარებით) წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალი პირდაპირ, ან გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს

სასესხო ვალდებულებები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომლებსაც საწარმო ეწევა ნასესხები სახსრების მიღებასთან დაკავშირებით. სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი უნდა აღიაროს როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2.7 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ვინაიდან ფინანსური ინსტიტუტები არ გადასულან ე.წ. ესტონურ მოდელზე, ხოლო შპს როიალ კრედიტი წარმოადგენს სგს-ს, მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება წლიურად, მიმდინარე წლის დასაბეგრი მოგების საფუძველზე. 2023 წელს შესული ცვლილების მიხედვით, მოგების გადასახადის განაკვეთი გაიზარდა და გახდა 20%, ნაცვლად მანამდე არსებული 15%-იანი განაკვეთისა. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში. მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან მოგების გადასახადი იანგარიშება სააღრიცხვო მოგებიდან და აისახება საგადასახადო ხარჯის სახით. სააღრიცხვო მოგებიდან გაანგარიშებულ საგადასახადო ხარჯსა და საგადასახადო (დასაბეგრი)მოგებიდან გამომდინარე ბიუჯეტის კუთვნილი მოგების გადასახადს შორის სხვაობა აღირიცხება გადავადებული საგადასახადო აქტივის ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების სახით.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.9 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

2.10 შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

კომპანიის საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. კომპანია გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. კომპანია გამოითვლის საპროცენტო ხარჯს ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. სხვა შემოსავალი და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

2.11 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანიის მიერ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ვადა არის 1 თვე, ავტომატურად გაგრძელების პირობით, ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებელის დაფარვის შემთხვევაში. ამ თვალსაზრისით, არ არის გამოიჯნული გრძელვადიანი და მოკლევადიანი აქტივები. ვინაიდან, მიღებული სესხი პირდაპირ დამოკიდებულია გაცემული სესხების ოდენობასა და ვადიანობაზე, შესაბამისად ეს სესხიც კლასიფიცირებულია ზოგადად, როგორც სასესხო ვალდებულება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	47,660	2,155	49,815
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	47,660	2,155	49,815
დაგროვილი ცვეთა			
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	(32,260)	(1,486)	(33,746)
პერიოდის ცვეთა	(2,944)	(160)	(3,104)
გასვლა	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	(35,205)	(1,646)	(36,850)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2023 წლის 31 დეკემბერი	15,400	669	16,069
2024 წლის 31 დეკემბერი	12,455	509	12,965

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

არამატერიალური აქტივები

პროგრამული უზრუნველყოფა	
ისტორიული ღირებულება	
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	5,900
შემოსვლა	-
გასვლა	
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	5,900
დაგროვილი ცვეთა	
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	(3,504)
პერიოდის ცვეთა	(738)
გასვლა	
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	(4,242)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
2023 წლის 31 დეკემბერი	2,396
2024 წლის 31 დეკემბერი	1,659

6. გადავადებული საგადასახადო აქტივი და გადავადებული საგადასახადო ვალდებულება მოგების გადასახადი იანგარიშება სააღრიცხვო მოგებიდან და აისახება საგადასახადო ხარჯის სახით. სააღრიცხვო მოგებიდან გაანგარიშებულ საგადასახადო ხარჯსა და საგადასახადო (დასაბეგრი)მოგებიდან გამომდინარე ბიუჯეტის კუთვნილი მოგების გადასახადს შორის სხვაობა აღირიცხება გადავადებული საგადასახადო აქტივის ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების სახით.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულება განპირობებულია ძირითადი საშუალებების საგადასახადო ამორტიზაციასა და ცვეთის წრფივი მეთოდით დარიცხვის შედეგად წარმოქმნილი დროებითი სხვაობით, ასევე, 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებების საგადასახადო კუთხით ხარჯებში სრული გამოქვითვის გამო.

7. გაცემული სესხები

კომპანია გასცემს ფიზიკურ პირებზე ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილ სესხებს. გაცემული სესხების ვადა არის 1 თვე, ავტომატურად გაგრძელების პირობით, ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებელის დაფარვის შემთხვევაში. კომპანია გაცემულ სესხებზე ქმნის სარეზერვო ანარიცხებს თუ არსებობს გაუფასურების მოლოდინი. სესხების გაუფასურების ანარიცხი წარმოადგენს კომპანიის მიერ შექმნილი სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვს. კომპანიას, ისევე როგორც სხვა სესხის გამცემ სუბიექტებს, ჯერჯერობით არ აქვს ვალდებულება საქართველოს ეროვნული ბანკისაგან, რომ აუცილებლად შექმნას სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი. მისი შექმნა ატარებს ნებაყოფლობით ხასიათს და ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და საკრედიტო კავშირებისგან განსხვავებით საგადასახადო ანგარიშგებაში არ გამოიქვითება. სარეზერვო ანარიცხები კომპანიის მიერ იქმნება კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სასესხო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. გაუფასურების რეზერვის დაანგარიშებისას გამოიყენება თითოეული სესხის მიმართ ინდივიდუალური გადაფასების მიდგომა.

გაცემული სესხები, სესხების გაუფასურების რეზერვები და დარიცხული მისაღები პროცენტები შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

შენიშვნა: გაცემული სესხები

	31/12/2024	31/12/2023
გაცემული სესხები	4,256,383	3,821,419
გაუფასურების რეზერვი	(7,178)	(15,130)
დარიცხული მისაღები პროცენტები	62,051	59,624
მოთხოვნები ნეტო ღირებულებით	4,311,256	3,865,913

კომპანია ითვლის მისაღებ პროცენტებს დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად.

შპს „როიალ კრედიტი“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. ასევე, წინასწარ გადახდილი ავანსები, მისაღებ მომსახურებასა და პროდუქციაზე.

შენიშვნა

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31/12/2024	31/12/2023
გადახდილი ავანსები	979	1,093
სულ	979	1,093

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში და ფულს ბანკში.

	31/12/2024	31/12/2023
ნაღდი ფული სალაროში	10,399	32,749
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,225	17,292
სულ	11,624	50,041

10. სასესხო ვალდებულება

კომპანიის სასესხო ვალდებულება არის სესხი რეზიდენტი საფინანსო ინსტიტუტისგან - ბანკისგან. მიღებული სესხი უზრუნველყოფილია ფინანსური გირავნობით, რომლის საგანია მოთხოვნები

კომპანიის მიერ გაცემულ სესხებზე. აღნიშნული ვალდებულება წარმოადგენს საკრედიტო ხაზს. სესხის ათვისება და დაფარვა ხდება კომპანიის მოთხოვნის შესაბამისად, საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში.

ფიზიკური პირი, ვისგანაც კომპანიას აქვს მიღებული სესხი არის კომპანიის 100 % წილის მფლობელი პარტნიორი. (კომპანიას, როგორც სესხის გამცემ სუბიექტს კანონმდებლობით აკრძალული აქვს სესხების მიღება სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, გარდა პარტნიორებისა და ფინანსური ინსტიტუტებისა).

შპს „როიალ კრედიტი“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

შენიშვნა: მიღებული სესხები

	31/12/2024	31/12/2023
ბანკიდან მიღებული სესხი	3,152,188	2,932,505
პარტნიორისაგან მიღებული სესხი	655,405	518,272
გადასახდელი პროცენტები	8,035	6,776
სულ მიღებული სესხი	3,815,628	3,457,553

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

ძირითად ნაწილს შეადგენს ვალდებულებები მირებული მომსახურებიდან და შეძენილი პროდუქციიდან.

ეს მუხლი ასევე მოიცავს კლიენტების წინაშე არსებულ ვალდებულებებს. კერძოდ, წარმოადგენს მსესხებელთა მიერ სატრანზიტო ანგარიშზე შემოტანილ თანხებს, საიდანაც ხდება სასესხო ვალდებულებების გადაფარვა.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30/12/2024	31/12/2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,856	2,473
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	11,204	10,735
სულ	13,060	13,208

12. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

საგადასახადო კუთხით გადასახადების დარიცხვა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილია ყველა გადასახადის ნეტო შედეგი.

13. საპროცენტო შემოსავალი

კომპანიის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან. მისაღებ პროცენტების დაანგარიშება ხდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით გაცემული სესხების მოცულობა მოყვანილია ცხრილში

წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	2024	2023
14%-20%	1,902,851	1,626,416
21%-30%	808,296	673,360
31%-40%	1,058,441	912,874
41%-47%	486,795	608,770
სულ გაცემული სესხი	4,256,383	3,821,419

14. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი განისაზღვრება მიღებული სესხების მიხედვით გადასახდელი პროცენტიდან. პროცენტის დარიცხვა ხდება ათვისებული სესხის თანხის მიხედვით

	2024	2023
ბანკის სესხზე გადასახდელი პროცენტი	8,035	6,776
პარტნიორისაგან მიღებულ სესხზე გადასახდელი პროცენტი	-	-
სულ საპროცენტო ხარჯი	8,035	6,776

15. სხვა შემოსავალი

კომპანიის დამატებითი შემოსავალი ჰქონდა ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული საიჯარო ქირა. კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, ფართში, სადაც ფუნქციონირებს ლომბარდი, განთავსებული იყო ბანკომატი. მოცემულ საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ბანკომატი აღარ იყო ფართში და ქვეიჯარის ხელშეკრულება იყო შეწყვეტილი.

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები. სხვა საოპერაციო ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
იჯარის ხარჯი	60,551	58,499
დაცვის მომსახურება	10,320.00	10,320.00
კომუნიკაციისა და კომუნალური ხარჯი	13,973	15,832
ცვეთა და ამორტიზაცია	3,842	4,782
პროგრამის მომსახურების ხარჯი	23,923	19,474
საოფისე ხარჯი	1,670	1,302
საკანცელარიო ხარჯი	3,087	3,248
ბანკის მომსახურების საკომისიო	989	1,018
ქონების დაზღვევა	910	910
საკონსულტაციო ხარჯი	1,200	1,000
სხვა საგადასახადო ხარჯი	174	217
საღარიბო აპარატის მომსახურების ხარჯი	539	796
სხვა ხარჯი	3,766	33,045
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	124,943	150,442

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

(I) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(II) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(III) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(II) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(V) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

შპს „როიალ კრედიტი“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ცფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

(VI) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(VII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(VIII) (ა) (II) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, საწარმომ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს კომპანიის 100% წილის მფლობელი პარტნიორი, რომლის მიმართაც კომპანიას გააჩნია სასესხო ვალდებულება.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2024 და 2023 წლებში მოცემული ქვემოთ:

დაკავშირებულ მხარეებს შორის სასესხო გარიგებები

	2024	2023
პარტნიორისაგან მიღებული სესხები:		
საწყისი ნაშთი	518,272	405,724
პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხები	505,786	585,272
პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები	368,653	472,724
საბოლოო ნაშთი	655,405	518,272
დარიცხული პროცენტი	65,094	56,060

18. რისკების მართვა და შიდა კონტროლი

ბიზნესის სხვა სექტორების მსგავსად, კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბიზნეს რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება. კომპანიის საერთო მიზანია აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და ასევე იქნება რეგულირებასთან თანხვედრაში. რისკები ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესი რისკია **შეფასების რისკი**.

კერძოდ, გაცემული სესხების უზრუნველყოფის საგანია ძვირფასეულობა, რომლის ზუსტი შეფასება მოითხოვს დიდ გამოცდილებასა და დაკვირვებას, რომ არ მოხდეს ყალბი ნივთის, ან უფრო დაბალი სინჯის ოქროს მიღება, როგორც გირავნობის საგნის. აღნიშნული რისკის თავიდან აცილების მიზნით, კომპანია უზრუნველყოფს სათანადო კადრების- ექსპერტ-შემფასებლების გადამზადებას.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას. კომპანიის საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულია ის აუცილებელი პროცედურები, რომლებიც უნდა ჩატარდეს საკრედიტო რისკის გასაანეიტრალებლად.

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო.

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდურობის რისკის გასაანეიტრალებლად ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს.

19. ბალანსის შემდგომი მოვლენები

სააღრიცხვო პროგრამის გაუმჯობესება და ახალი მოდულების დანერგვა მიმდინარეობს რეგულარულად ეროვნული ბანკის რეგულაციების შესაბამისად. პროგრამული უზრუნველყოფა სრულად შეესაბამება და პასუხობს ეროვნული ბანკის კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

ანგარიშგების გამოქვეყნების შემდეგ, ადგილი არ ჰქონია ბალანსის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომელთა განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნება აუცილებელია.

20. ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია და გამოსაცემად მზად არის 2025 წლის 26 სექტემბერს.